დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს დადგენილება #25, 19/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა (შემდეგში „პოლიტიკის დოკუმენტი/დოკუმენტი“) არეგულირებს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს, განსაზღვრავს დარღვევის შემთხვევაში მასზე რეაგირების მექანიზმებს და ადგენს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს;

1.2 უნივერსიტეტი იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და აღნიშნული დოკუმენტით დადგენილი მექანიზმებით მიმართულია გამოავლინოს სხვისი შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით მითვისება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;

1.3 არსებული დოკუმენტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის დაცვას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას, რათა დაცულ იქნეს აკადემიური კეთილსინდისიერება, უნივერსიტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი;

1.4 აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნები ვრცელდება ამ პუნქტით განსაზღვრულ ყველა პირზე, რომელიც სასწავლო პროგრამის ან კვლევის ფარგლებში უფლებამოსილია განახორციელოს სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის შექმნა, გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება, კერძოდ:

ა) უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე;

ბ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებზე;

გ) სასწავლო საგნების ფარგლებში შემუშავებულ პროექტებზე, წერით დავალებებზე, სხვა;

დ) უნივერსიტეტში გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალებზე;

ე) უნივერსიტეტის სახელით გამოცემულ წიგნებზე;

ვ) კვლევითი ცენტრების ბაზაზე მომზადებულ სამეცნიერო ნაშრომებზე;

ზ)უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების გამოცემულ კრებულებზე;

1.5 წინამდებარე დოკუმენტით მოსარგებლე თითოეული მონაწილე ვალდებულია დაიცვას “აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით” გაწერილი პრინციპები;

1.6 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა მკაცრად კონტროლდება აკადემიური წერის ცენტრის, კვლევით დარგში პრორექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ;

1.7 უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და გაზიარებას აკადემიურ სივრცეში.

მუხლი 2. პლაგიატის ძირითადი სახეები

2.1. **პირდაპირი პლაგიატი** - სხვისი ნაშრომიდან ან წყაროდან უცვლელად გადმოწერა ციტირების ან სხვა ტიპის მითითების გარეშე;
2.2. **თვითპლაგიატი** - საკუთარი უკვე გამოყენებული მოსაზრებების, ნაშრომის ან ნაშრომის ნაწილის გამეორება მითითების გარეშე;
2.3. **მოზაიკური პლაგიატი** - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება ან/და პერიფრაზირება ახალი ტექსტის მისაღებად, როდესაც არ ხდება ცალკეული ავტორების მითითება და ციტირება;
2.4. **შემთხვევითი პლაგიატი** - კვლევის საწყის ეტაპზე დაუდევრობით ციტირების და წყაროს მითითების გარეშე სხვისი მოსაზრებების ან/და ტექსტის გამოყენება, თუნდაც პერიფრაზირებული ფორმით.

მუხლი 3. პლაგიატის პრევენცია და აღმოჩენა

3.1.პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში სწავლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების შესწავლას;
3.2. სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ, სტუდენტების ნაშრომების/კვლევითი პროცესის პერიოდული მონიტორინგი, აგრეთვე დასრულებული ნაშრომის მიმოხილვა, გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების გადამოწმება/შესწავლა ხელს უწყობს პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას და გამოვლენას;
3.3. აკადემიური კეთისლინდისიერების დაცვის შესახებ უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება ხდება საინფორმაციო შეხვედრებით, ტრენინგებით და აღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3.4. წინამდებარე დოკუმენტის 1.4 პუნქტით განსაზღვრული პირები პლაგიატის შესახებ ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით: აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით, ეთიკის კოდექსით, სამაგისტრო სწავლების დებულებით, სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით;

3.5. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს ანტიპლაგიარიზმის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას.

მუხლი 4. ნაშრომების შემოწმება

4.1. საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენციის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი ექვემდებარება შემოწმებას პლაგიატის აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით: ნაშრომები პლაგიატზე შემოწმების მიზნით იტვირთება ანტიპლაგიარიზმის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში; სტუდენტების ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება ხდება სტუდენტის, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და აკადემიური წერის ცენტრის მიერ;

4.2. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის ელექტრონულ ვერსიას თან უნდა ახლდეს სტუდენტის/აკადემიური პერსონალის განცხადება იმის თაობაზე, რომ წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით და კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები;

4.3. ელექტრონულ პროგრამაში ნაშრომის შემოწმების შემდგომ, პლაგიატის/ტექსტის მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი/ნაშრომის ხელმძღვანელი/სკოლის სადისერტაციო საბჭო და აკადემიური წერის ცენტრი ახდენენ ნაშრომების შემოწმებას და ამზადებენ დასკვნას ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ (სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიური წერის ცენტრს წარუდგენს დასკვნას); შედეგები ეცნობება სტუდენტს;

4.5. აღნიშნული საკითხი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით სამაგისტრო სწავლების დებულება, სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება,

მუხლი 5. პლაგიატის გამოვლენა/დადასტურება და პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევებზე

5.1.პლაგიატის/ტექსტის მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ნაშრომის ხელმძღვანელის/სკოლის/სადისერტაციო საბჭოს და აკადემიური წერის ცენტრის მიერ;

5.2 შესაბამისი დოკუმენტით დამოწმებული პირდაპირი ციტირების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 15%-ს; დაუმოწმებელი ტექსტის

არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%); 15%-ზე მეტი ტექსტის მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი ახდენს ნაშრომის კორექტირებას 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

5.3 უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში ანტიპლაგიარიზმის ელექტრონული სისტემის მიერ 15%-ზე მეტი მსგავსების გამოვლენისას ნაშრომი უბრუნდება ავტორს და კარგავს იმავე ნაშრომის იმავე ჟურნალში გამოქვეყნების უფლებას;

5.4 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომზე მიღებულ ელექტრონულ დასკვნას განიხილავს პრორექტორი კვლევითი მიმართულებით, სკოლის დეკანთან, დარგის ექსპერტებთან და აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელთან;

5.5 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ფაქტებზე სანქციები განსაზღვრულია და მოწესრიგებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით: შრომის შინაგანაწესი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შრომის დისციპლინის შესახებ; სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარგეულირებელი წესი; ეთიკის კოდექსი; სამაგისტრო სწავლების დებულება; სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირება:

6.1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე რეაგირება და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება ხორციელდება წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესით, მიუკერძოებლობის, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე;

6.2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტის/აკადემიური პერსონალის/თანამშრომლის მიმართ გაატაროს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ამავე დოკუმენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

6.3. საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტი/აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა. სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში იხელმძღვანელოს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით;

ბ. არ გამოიყენოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არც ერთი სახე და არ წაახალისოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა, როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით;

გ. დაიცვას უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული აკადემიური წერის სტილი (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი, ნაშრომის შესრულების წესი და ა.შ.);
დ. პატივი სცეს სხვის ნაშრომებსა და საავტორო უფლებებს;
ე. საკუთარ ნაშრომში სხვა ავტორების ნაშრომების გამოყენებისას სწორად მიუთითოს გამოყენებული წყაროები;
ვ. თავი შეიკავოს სტუდენტის/აკადემიური პერსონალისათვის შეუფერებელი საქმიანობისგან და საქციელისგან;
6.4. საუნივერსიტეტო სივრცეში დაუშვებელია სტუდენტის/აკადემიური პერსონალის მიერ:
ა. სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, კერძოდ, სხვა ავტორ(ებ)ის მიერ შესრულებული ნაშრომის მითვისება და საკუთარ ნაშრომად წარდგენა და მათი სათანადო ციტირების ან მითითების გარეშე გამოყენება;
ბ. ნებისმიერი წყაროდან იდეის, ინფორმაციის, კვლევის შედეგის, ტექსტის, ცხრილის, დიაგრამის, კითხვარების, ა.შ. შესაბამისი ციტირების გარეშე გადმოკოპირება ან მცირედი ცვლილებით გადმოტანა;
გ. გაყალბებული, გადაუმოწმებელი მონაცემების გამოყენებით კვლევის განხორციელება.

მუხლი 7. დისციპლინური სანქციები აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში

7.1. დისციპლინური სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი იყენებს სტუდენტის/აკადემიური პერსონალის მიმართ წარდგენილ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის შემთხვევაში;
7.2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტის/აკადემიური პერსონალის მიმართ შეიძლება გატარდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის შიდანორმატიული დოკუმენტაციით.
7.3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის გამოვლენისას, სტუდენტს/აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტის სახელით ეკრძალება იმ სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის გამოქვეყნება, რომელშიც გამოვლინდა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი;
7.4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისთვის სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია დაკორექტირებული სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი წარადგინოს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 8. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისია

8.1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისია, რომელიც საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, ამ კოდექსითა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით და ამზადებს შესაბამის დასკვნას;

8.2. კომისია საკუთარი საქმიანობისას ხელმძღვანელობს კანონიერების, თანასწორობის, კონფიდენციალობის, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე;

8.3. კომისიის შემადგენლობა უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს; კომისიის მუშაობაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი;

8.4. თუ კომისიის წევრი, აცილების საფუძვლის არსებობისას, არ განაცხადებს თვითაცილებას, კომისიის წევრს, განმცხადებელს ან აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევს უფლება აქვს კომისიის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ამ პირის აცილება; კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის აცილების საკითხს წყვეტს კომისია ამ პირის მონაწილეობის გარეშე;

8.5. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისიის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და განვითარებას;

8.6. კომისია პირველ სხდომაზე ღია კენჭისყრით ირჩევს თავჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს;

8.7. კომისია შეისწავლის უნივერსიტეტის სტუდენტ(ებ)ის/პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ნორმების დარღვევის ფაქტებს და ამ ფაქტებზე რეაგირების მიზნით, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

8.8. კომისიის შემადგენლობაში შედის 5 (ხუთი) წევრი შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან; კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია კვლევის მოცემულ სფეროში;

8.9. კომისია ვალდებულია დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევი პირის კონფიდენციალობა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადასტურებამდე; კომისია ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის დასრულებამდე;

8.10.კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განმცხადებელი და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს მას

წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები კომისიის მუშაობის დროს წამოჭრილ საკითხებზე;
8.11. კომისიის შემადგენლობას, მათი კომპეტენციის შესაბამისად, განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი კვლევით დარგში პრორექტორის წარდგინების საფუძველზე;
8.12. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;
8.13. კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს და უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კომისიის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს;
8.14. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი;
8.15. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

მუხლი 9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)
9.1. პირს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება და წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია;
9.2. უნივერსიტეტის რექტორი სააპელაციო განაცხადის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას, რომლის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისიის წევრი;
9.3. საჩივრის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინტერესთა კონფლიქტი;
9.4. სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრის განხილვისას პირს უფლება აქვს დაესწროს სხდომას და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები;
9.5. საჩივრის განხილვის შედეგად სააპელაციო კომისიას უფლება აქვს მიიღოს მითითებული გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთი:
ა. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
ბ. დამრღვევის მიმართ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ;
9.6. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს და პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება;
9.7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1 უნივერსიტეტის სტუდენტები, პერსონალი და თანამშრომლები ვალდებულნი არიან, გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია განათავსოს აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე;
10.2. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
10.3.მოცემულ დოკუმენტში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება უნდა დამტკიცდეს მმართველი საბჭოს მიერ.